ნასყიდობის ხელშეკრულებებით მყიდველის მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასკვნის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი

2017 წლის 6 იანვარს შედგა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 28 მაისის № 01-154/ო ბრძანების შესაბამისად, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებებით მყიდველის მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასკვნის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ზაზა სოფრომაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) მარინა დარახველიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი;

გ) შორენა ოქროპირიძე - - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამმართველოს უფროსი

დ) ქეთევან გოგინაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ე) დავით ჩიტაია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ვ) ირმა ბურდულაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ლიცენზიებისა და აკრედიტაციის დეპარატმენტის უფროსი

ზ) მაგდა ნასყიდაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

დღის წესრიგი:
შპს ,,ალიანს მედი+ის“, შპს ,,არქიმედეს კლინიკის“, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“, შპს „ბლოკ-ინვესტის“ და შპს მედიმექსის“, სს ,,ჩემი ოჯახის კლინიკის“, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“, შპს

,,გორმედის“, შპს ,,მედალფას“, შპს ,,უნიმედი კახეთის“, შპს ,,უნიმედი სამცხის“ მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასკვნის პროექტების განხილვა.

განხილულ იქნა შპს ,,ალიანს მედი+ის“, შპს ,,არქიმედეს კლინიკის“, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“, შპს „ბლოკ-ინვესტის“ და შპს მედიმექსის“, სს ,,ჩემი ოჯახის კლინიკის“, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“, შპს ,,გორმედის“, შპს ,,მედალფას“, შპს ,,უნიმედი კახეთის“, შპს ,,უნიმედი სამცხის“ მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე ჯგუფის მონაწილეობით მომზადებული დასკვნების პროექტები (იხ. დანართი 1).

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მოწონებულ იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული შპს ,,ალიანს მედი+ის“, შპს ,,არქიმედეს კლინიკის“, შპს „ბლოკ-ჯორჯიას“, შპს „ბლოკ-ინვესტის“ და შპს მედიმექსის“, სს ,,ჩემი ოჯახის კლინიკის“, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“, შპს ,,გორმედის“, შპს ,,მედალფას“, შპს ,,უნიმედი კახეთის“, შპს ,,უნიმედი სამცხის“ მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე ჯგუფის მონაწილეობით მომზადებული დასკვნების პროექტები და გადაგზავნილ იქნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

ზაზა სოფრომაძე -

მარინა დარახველიძე -

შორენა ოქროპირიძე -

ქეთევან გოგინაშვილი -

დავით ჩიტაია -

ირმა ბურდულაძე -

მაგდა ნასყიდაშვილი -

დანართი 1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოსაზრება ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულებების შესრულების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მზღვეველ კომპანიებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მზღვეველ კომპანიებს ავალდებულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფას ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან შვიდი (შპს ,,გორმედის" შემთხვევაში - რვა) წლის განმავლობაში, ხელშეკრულებებით დადგენილი სპეციფიური პირობების გათვალისწინებითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს: ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი; ან საქმიანობის ლიცენზია; ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე (ამასთან, შესაძლებელია, ზოგიერთი სერვისების წარმოება არ მოითხოვდეს ლიცენზიის/ნებართვის ან შეტყობინების არსებობას).

ბ) ,,ა" პუნქტში მითითებული უფლებამოსილების მქონე სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად უნდა ახდენდეს ბაზისური სერვისების ნუსხით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულებაში მითითებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში.

ხელშეკრულებების თანახმად, მზღვეველ კომპანიებს, სხვადასხვა პირობებთან ერთად, მოეთხოვებოდათ, უზრუნველეყოთ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა მუნიციპალიტეტებში, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 (შპს ,,გორმედის" შემთხვევაში -8) წლის განმავლობაში სპეციფიური პირობების გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

ამასთან ერთად, ხელშეკრულებებში, ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, გათვალისწინებულია შესაბამისი პირგასამტეხლო.

სამინისტროს მოსაზრებაა, მზღვეველი კომპანიების მიერ ბაზისური სერვისების ვალდებულებების შეუსრულებლობა (პროგრამაში მონაწილეობის მიუღებლობა ან

ლიცენზიების/ნებართვების მოუპოვებლობა და მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის განხორციელება შეტყობინების გარეშე) შეფასდეს როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი და პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის მიხედვით.

ანგარიშგების პერიოდად განსაზღვრულია ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულების დასაწყისიდან 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

- შპს ,,ალიანს მედი+"

ბაზისური სერვისი ,,სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება": შპს ,,ალიანს მედი+" (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო") ხაშურის, დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულების დასაწყისიდან (01.12.2011) ანგარიშგების თარიღამდე (15.09.2016), ასევე, სახელმწიფოს მიერ გამოსყიდულ სამედიცინო დაწესებულებებში: მესტიის (31.03.12წ), ცაგერის (01.12.2011წ), ონის (ვალდებულებების დასაწყისი - 01.12.2011) და ამბროლაურის (01.12.2011წ) მუნიციპალიტეტებში, ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულების დასაწყისიდან - მათ გამოსყიდვამდე (2014 წლის 18 დეკემბერი, როცა ამ სამედიცინო დაწესებულებებს სახელმწიფო პროგრამებში ჩაენაცვლა შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი") არ ასრულებდა ,,სამედიცინო ტრანსპორტირების და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების" სამედიცინო ტრანსპორტირების კომპონენტს.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

ბაზისური სერვისი "ანტენატალური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა, სულ მცირე, მუნიციპალურ დონეზე და საჭიროების შემთხვევაში, მაღალი რისკის მქონე ორსულების რეფერალი":

შპს ,,ალიანს მედი+" (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო") ბოლნისის მუნიციპალიტეტში დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მომსახურების კომპონენტში არ მონაწილეობდა ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულების დასაწყისიდან - 01.12.2011- 01.04.2012 მდე.

შპს ,,ალიანს მედი+" (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო") ხაშურის სამედიცინო ცენტრის მიერ დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მომსახურების კომპონენტში გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მასალა მოწოდებულია მხოლოდ 01.10.2011- 10.07.2015-მდე. 11.07.2015-დან 15.09.2016-მდე არ ხდებოდა ანტენატალური სერვისების მიწოდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი, ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

ბაზისური სერვისი "ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობა": შპს ,,ალიანს მედი+" (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო") სამედიცინო ცენტრები ,,ინფექციური დაავადებების მართვის" სახელმწიფო პროგრამაში არ მონაწილეობდნენ შემდეგნაირად:

დმანისი და ბოლნისი - 01.12.2011-დან - 01.09.2012-მდე არ მონაწილეობდა ინფექციური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში.

ონის მუნიციპალიტეტში ინფექციური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის შესრულება დაწყებულია 01.09.2012 - ნაცვლად 01.12.2011-ისა და გაგრძელდა სახელმწიფოს მიერ სამედიცინო ცენტრის გამოსყიდვამდე (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად ონში დარეგისტრირდა 2014 წლის 19 დეკემბერს). ე.ი. შპს ,,ალიანს მედი+" 01.12.2011-დან 01.09.2012-მდე არ მონაწილეობდა ინფექციური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში.

მესტიის მუნიციპალიტეტშიც ინფექციური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა დაწყებულია 01.09.12 წ (ნაცვლად 31.03.2012-ისა) და გაგრძელდა სახელმწიფოს მიერ სამედიცინო ცენტრის გამოსყიდვამდე (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად ონში დარეგისტრირდა 2014 წლის 19 დეკემბერს), ე.ი. ე.ი 31.03.2012-დან 01.09.2012-მდე არ მონაწილეობდა ინფექციური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი, ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

- <u>შპს ,,არქიმედეს კლინიკა"</u>

ბაზისური სერვისი ,,სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება": ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების" პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების" კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში შპს ,,არქიმედეს კლინიკა" ფიქსირდება ამ კომპონენტის მიმწოდებლად (შესრულებული გამოძახებები: ლაგოდეხი, სიღნაღი) მხოლოდ 21.03.2013-დან - 15.09.2016. ე.ი შპს „არქიმედეს კლინიკა 01.12.2011-დან (ლაგოდეხი და წნორში) 21.03.2013-მდე არ მონაწილეობდა ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების" პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების" კომპონენტის შესრულებაში.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი, ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

ბაზისური სერვისი ,,ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობა": შპს ,,არქიმედეს კლინიკის" სიღნაღის (წნორი) სამედიცინო დაწესებულებას არ განუხორციელებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან საანგარიშო ვადამდე (15.09.2016). კერძოდ, არ აუღია სანებართვო დანართი ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის და არ გაუკეთებია შეტყობინება ამბულატორიულად ინფექციური დაავადებების მკურნალობის წარმოებასთან

დაკავშირებით. შესაბამისად, ამ პერიოდში მას არ გააჩნდა აღნიშნული საქმიანობის წარმოების უფლება არც სტაციონარულად, არც ამბულატორიულად.

იგი, ასევე, არ მონაწილეობდა ,,ინფექციური დაავადებების მართვის" სახელმწიფო პროგრამაში. 2014 წლის დასაწყისიდან (2014 წლის 1 იანვრიდან) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დაიწყო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 და (2014 წლის 1 ივნისიდან) 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებების ბენეფიციართა ინტეგრირება. მათი გეგმური ამბულატორიული მომსახურება მოიცავს: ,,ბ.ბ) ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით" (საქართველოს მთავარობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი 1.3. -ის 1 მუხლის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტი), რომელშიც, სხვა ექიმ-სპეციალისტებს შორის, გათვალისწინებულია ექიმი-ინფექციონისტის მიერ მიწოდებული ამბულატორიული სერვისი.

გეგმური ამბულატორიული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება კაპიტაციის მეთოდით მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელშიც პაციენტია რეგისტრირებული.

თუმცა, რადგან მას არ გააჩნდა საქმიანობის წარმოების უფლება არც სტაციონარულად და არც ამბულატორიულად, მას არ შეუსრულებია ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის ვალდებულება 01.03.2012-დან 15.09.2016-მდე.

შპს ,,არქიმედეს კლინიკის" ლაგოდეხის სამედიცინო დაწესებულება არ მონაწილეობდა ,,ინფექციური დაავადებების მართვის" სახელმწიფო პროგრამაში 01.12.2011-დან საანგარიშო ვადამდე (15.09.2016), თუმცა 2014 წლის 1 იანვრიდან მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის გეგმიური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის შესრულებაში, გააჩნია ინფექციური სერვისების წარმოების უფლება და ამიტომ, ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდს წარმოადგენს 01.12.2011-დან - 01.01.2014-მდე პერიოდი.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი, ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

- შპს „ბლოკ-ჯორჯია"

ბაზისური სერვისი ,,ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა":

სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართი „ინფექციურ დაავადებებთან (მათ შორის, აივ ინფექციასთან/შიდსთან) დაკავშირებული საქმიანობა" გააჩნია მარტვილის (31.12.2010) და ზუგდიდის (31.12.2010) მუნიციპალიტეტებსა და ფოთში (31.12.2010) არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს.

შეტყობინება ინფექციურ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებით გაკეთებული აქვს აბაშის (30.12.2011), ხობის (21.02.2011), ჩხოროწყუს (27.03.2014, ნაცვლად 31.12.2011-ისა), ქ.

ფოთის (27.03.2014, ნაცვლად 1.07.2012-ისა), არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს. შეტყობინება არ გაუკეთებია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებულ სამედიცინო დაწესებულებას, გარდა შპს ქ. ჯვრის პოლიკლინიკისა, რომელმაც შეტყობინება გააკეთა საქმიანობის დაწყებაზე - 11.08.2011 წ. და გააუქმა - 11.07.2012 წ.

გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან - ანგარიშგების ვადამდე (15.09.2016), ჩხოროწყუს (გარდამავალი პერიოდის დასასრული 01.05.2012), მარტვილის (გარდამავალი პერიოდის დასასრული 31.12.2011), წალენჯიხის (გარდამავალი პერიოდის დასასრული 31.12.2011) და ხობის (გარდამავალი პერიოდის დასასრული 31.12.2011) მუნიციპალიტეტების და დაბა ჯვრის (გარდამავალი პერიოდის დასასრული 31.12.2011) სამედიცინო დაწესებულებები არ მონაწილეობდნენ ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში.

ქ. ფოთის სამედიცინო დაწესებულება ინფექციური დაავადებების მართვის პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდა მხოლოდ 01.04.2012-დან 31.12.2013-მდე.

თუმცა, აბაშის, ჩხოროწყუს და მარტვილის და ხობის მუნიციპალიტეტების და ქ. ფოთის სამედიცინო დაწესებულებები 2014 წლის 1 იანვრიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიის კომპონენტში ემსახურებიან საქართველოს მთავრობის N218, ხოლო 2014 წლის 1 ივნისიდან N165 დადგენილებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს და აღნიშნული პერიოდიდან 15.09.2016-მდე პროგრამულად ასრულებენ ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ამ მუნიციპალიტეტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბლოკ-ჯორჯია“ მარტვილის, აბაშის, ხობის სამედიცინო დაწესებულება 31.12.2011-დან 01.01.2014 წ-მდე; წალენჯიხის მუნიციპალიტეტების და დაბა ჯვარის სამედიცინო დაწესებულებები 31.12.2011-დან 15.09.2016-მდე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში - 01.05.2012-დან 27.03.2014-მდე არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

- <u>შპს „გორმედი“</u>

ბაზისური სერვისი „სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება“:

„სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის „სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს „გორმედი“ და მის მიერ გაწეული მომსახურება გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან (3.04.2013) 27.07.2016-მდე.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების დარღვევისათვის ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი "ანტენატალური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა, სულ მცირე, მუნიციპალურ დონეზე და საჭიროების შემთხვევაში, მაღალი რისკის მქონე ორსულების რეფერალი":

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, შპს ,,გორმედი" ფლობდა სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს ,,სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - გინეკოლოგია" და არ ფლობდა სანებართვო დანართს ,,მეანობა"-ში, ასევე, არ ჰქონდა გაკეთებული შეტყობინება შესაბამის უწყებაში მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობაზე ,,სამეანო-გინეკოლოგიური საქმიანობა". შესაბამისად, მას არ გააჩნდა ამბულატორიული სამეანო-გინეკოლოგიური საქმიანობის უფლება 2015 წლის 29 დეკემბრამდე (29.12.2015 წარმოადგინა შეტყობინება საქმიანობაზე „მეანობა-გინეკოლოგია"). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შპს „გორმედი" 18.01.2012-დან მონაწილეობს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში. შესაბამისად, 03.04.2013-29.12.2015, შპს „გორმედს" არ გააჩნდა აღნიშნული საქმიანობის შესრულების უფლება.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

- <u>შპს ,,მედალფა"</u>

ბაზისური სერვისი ,,სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება":

,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების" პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების" კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,მედალფა" და მის მიერ გაწეული მომსახურება გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან (01.12.2011) ანგარიშგების თარიღამდე (15.09.2016) კასპისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

<u>შპს ,,უნიმედი კახეთი"</u>

ბაზისური სერვისი ,,სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება":

,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების"სახელმწიფო პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების" კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა სიაში არ ფიქსირდება შპს ,,უნიმედი კახეთი" ანგარიშგების თარიღამდე (15.09.2016) (შპს "უნიმედი კახეთი" ყვარელსა და ახმეტაში 2011 წლის 1 დეკემბრიდან და თელავში 2013 წლის 31 მარტიდან).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.3 მუხლით, როგორც ვალდებულების დარღვევა ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

ბაზისური სერვისი ,,უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობა“:

საანგარიშო პერიოდში სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის არ ფლობდა შპს ,,უნიმედი კახეთის“ არც ერთი სამედიცინო დაწესებულება.

შეტყობინება ინფექციური საქმიანობის, როგორც მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის შესახებ, შპს ,,უნიმედ კახეთს“ წარმოდგენილი აქვს თელავსა (28.03.13წ) და ახმეტაში (14.12.11წ).

შპს ,,უნიმედი კახეთის“ ყვარლის სამედიცინო ცენტრს არ გააჩნია არც შეტყობინება და არც სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართი ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის. შესაბამისად, მას აქვს არც სტაციონარული, არც ამბულატორიული საქმიანობის უფლება ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან საანგარიშო პერიოდამდე (15.09.2016წ).

შპს ,,უნიმედი კახეთის“ თელავის სამედიცინო ცენტრი ,,ინფექციური დაავადებების მართვის“ სახელმწიფო პროგრამაში არ მონაწილეობდა, ყვარლის მუნიციპალიტეტში ,,უნიმედი კახეთი“ მონაწილეობდა 01.09.2011-დან 31.12.2012-მდე პერიოდში, ხოლო. ახმეტის ცენტრი მიმწოდებლად ფიქსირებულია 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

2014 წლის 1 იანვრიდან შპს ,,უნიმედი კახეთის“ თელავის და ახმეტის სამედიცინო ცენტრები მონაწილეობენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიის კომპონენტში და ემსახურებიან საქართველოს მთავრობის N218 და 2014 წლის 1 ივნისიდან - საქართველოს მთავრობის N165 დადგენილებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს და 01.01.2014 -დან საანგარიშო პერიოდამდე (15.09.16წ) ასრულებენ ინფექციური დაავადებების მკურნალობის პროგრამული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ამ მუნიციპალიტეტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,უნიმედი კახეთი“ თელავის მუნიციპალიტეტში არ ასრულებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობას 2013 წლის 31 მარტიდან 2014 წლის 1 იანვრამდე, ახმეტის მუნიციპალიტეტში კი 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე, ხოლო ყვარელში არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს 2011 წლის 1 დეკემბრიდან ანგარიშგების თარიღამდე (15.09.2016).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.3 მუხლით, როგორც ვალდებულების დარღვევა ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

- <u>შპს ,,უნიმედი სამცხე“</u>

ბაზისური სერვისი: ,,სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება“

,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,უნიმედი სამცხე“ და მის მიერ გაწეული მომსახურება გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან საანგარიშო ვადამდე (15.09.2016).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა ნინოწმინდის, ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში (2012 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულება).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა ადიგენის მუნიციპალიტეტში მოხდეს ხელშეკრულების 5.5.3 მუხლით, როგორც ვალდებულების დარღვევა (2011 წ. 13 სექტემბრის ხელშეკრულება).

ბაზისური სერვისი ,,უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობა“:

სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის ფლობს შპს ,,უნიმედი სამცხეს“ ორი სამედიცინო დაწესებულება (ახალციხე და ახალქალაქი). შეტყობინება შპს „უნიმედი სამცხეს“ ინფექციური საქმიანობის, როგორც მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი აქვს ნინოწმინდაში.

შპს „უნიმედი სამცხეს“ მხოლოდ ახალციხის მუნიციპალიტეტში მდებარე დაწესებულება წარმოადგენს ინფექციური დაავადების მართვის პროგრამის (მოიცავს სტაციონარულ მომსახურებას) მიმწოდებელს 2012 წლის 15 ოქტომბრიდან საანგარიშო ვადამდე (15.09.2016).

შპს ,,უნიმედი სამცხეს“ ყველა სამედიცინო დაწესებულება მონაწილეობდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში, მათ შორის გეგმური ამბულატორიის კომპონენტში და ემსახურება საქართველოს მთავრობის N218 (2014 წლის 1 იანვარი) და N165 დადგენილებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს (2014 წლის 1 ივნისი) დაამგვარად, 2014 წლის 1 იანვრიდან საანგარიშო ვადამდე (15.09.2016) ასრულებენ ინფექციური დაავადებების პროგრამული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ამ მუნიციპალიტეტებში.

შესაბამისად, შპს „უნიმედი სამცხე“ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს 2012 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე.

შპს ,,უნიმედი სამცხეს“ ადიგენის სამედიცინო ცენტრს არ გააჩნია არც შეტყობინება და არც სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართი ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის. შესაბამისად, მას არა აქვს არც სტაციონარული, არც ამბულატორიული საქმიანობის უფლება ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან (2011 წლის 1 დეკემბერი)

საანგარიშო ვადამდე(15.09.2016) და ამ აღნიშნულ პერიოდში არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მოხდეს ხელშეკრულების 5.5.4 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში (2012 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულება).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა ადიგენის მუნიციპალიტეტში მოხდეს ხელშეკრულების 5.5.3 მუხლით, როგორც ვალდებულების დარღვევა (2011 წ 13 სექტემბრის ხელშეკრულება).

- სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“

ბაზისური სერვისი „ტუბერკულოზის მართვა“

2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“ ტყიბულში არ ფლობდა შესაბამის ნებართვას ფთიზიატრიული საქმიანობის განსახორციელებლად და არ გაუკეთებია შეტყობინება ამბულატორიულ ფთიზიატრიულ საქმიანობაზე, თუმცა შპს „ჩემი ოჯახის კლინიკა“, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტში სერვისის მიმწოდებელი ტუბერკულოზის მართვის პროგრამის ფარგლებში, რეგისტრირებულია 01.10.2011-დან 01.02.2015-მდე. 2013 წლის 19 ნოემბრიდან „ჩემი ოჯახის კლინიკამ“ უკვე გააკეთა შეტყობინება ფთიზიატრიულ საქმიანობაზე და ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას 01.02.2015 ჩათვლით. 2015 წლის 2 თებერვლიდან უკვე სს „სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ აგრძელებს პროგრამაში მონაწილეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 19 ნოემბრამდე, სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“ უნებართვოდ ახორციელებდა ფთიზიატრიულ საქმიანობას. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში არ ასრულებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში.

- შპს „ჯეო ჰოსპიტალსი”

ბაზისური სერვისი„ტუბერკულოზის მართვა“

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში 01.10.2011-დან 24.04.2015 (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრისთვის“ გადაცემამდე) არ მონაწილეობდნენ ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. რაც შეეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას, ის მხოლოდ 01.10.2011-დან 01.07.2012-მდე ახორციელებდა ტუბერკულოზის მართვისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას, დანარჩენ დროს (01.07.2012 – 15.09.2016) არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში.

შესაბამისად, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ამავე პერიოდში, როდესაც არ ახორციელებდა პროგრამულ მომსახურებას, ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი ,,ანტირაბიული ვაქცინაცია და სპეციფიკური შრატებით უზრუნველყოფა“:

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ თიანეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სამედიცინო დაწესებულებები 01.12.2011-დან 27.02.2013-მდე პერიოდში არ მონაწილეობდა ანტირაბიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის (01.10.2011-01.09.2012) და იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ანტირაბიული მომსახურების კომპონენტის (01.09.2012-27.02.2013) განხორციელებაში, ხოლო წალკის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებები არ მონაწილეობდა 01.01.2013-01.02.2013 პერიოდში (მონაწილეობდა 01.10.2011-დან 31.12.2012-მდე).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“: -

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არ ასრულებდა ინფექციური დაავადებების მკურნალობის ვალდებულებას გარდაბანში 01.12.2011-დან 08.02.2012-მდე; მცხეთაში, ჭიათურაში, წალკაში, თეთრწყაროში, საგარეჯოსა და დუშეთში - 01.12.2011-დან 01.09.2012-მდე; თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კი 01.12.2011-დან 01.01.2014 წლამდე (2014 წლის 1 იანვრიდან მონაწილეობენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიის კომპონენტში).

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი,, სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება“:,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბანის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკას, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები და მათ მიერ გაწეული მომსახურება. შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არ სრულდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მცხეთაში, დუშეთში, საგარეჯოში, ბაღდათში, სამტრედიაში, მარნეულში, გარდაბანში, ჭიათურაში და ზესტაფონში - 01.12.2011-დან 15.09.2016-მდე; გურჯაანში - 15.04.2012-15.09.2016; თიანეთში, ყაზბეგში, წალკაში, თეთრწყაროში, - 01.12.2011-15.04.2015; ბორჯომში - 15.04.2012-15.04.2015.

პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.